



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები:

თამარ ჩხიკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ხათუნა გეგეშიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
მანანა გიგიბერია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
შოთა მადლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200007642

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ზღვისუბანი, Xბ კვარტალი
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/106
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi138@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577757788

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 24 0001147802; 17/09/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10,11 ოქტომბერი 2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.



N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ზღვისუბანი, Xბ კვარტალი; 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ზღვისუბანი, Xბ კვარტალი; 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ზღვისუბანი, Xბ კვარტალი; 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 10 და 11 ოქტომბერს შედგა სსიპ თბილისის N138 საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექიმს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. საგნობრივი ექსპერტების მხრიდან განხორციელდა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი კურიკულუმების შეფასება, რომლის დროსაც დაწყებითი საფეხურის

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის რევიზიაში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	---

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1300	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	ადწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა **სრულ შესაბამისად** შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	ხარვეზი



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	დაწესებულების სამოქმედო გეგმაში შესრულების გაზომვადი ინდიკატორები განისაზღვროს არა მტკიცებულებების ფორმულირებით „არამედ ამოცანის/ აქტივობის შესრულების ინდიკატორად“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდ.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული	დაწესებულებამ იზრუნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმებაზე.



	წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
N 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დასაქმება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურ	რჩევა
ინდიკატორი N... 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	მოხდეს კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურების დეტალურად გაწერა მეთოდოლოგიაში. აღნიშნულ დოკუმენტში მნიშვნელოვანია ჩანდეს: ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს, ვინ/რომელი სტრუქტურული ერთეულები/ჯგუფები განახორციელებენ შეფასებასა და მონიტორინგს, რა ინსტრუმენტებზე დაყრდნობით წარიმართება შეფასება და მონიტორინგი, კრიტერიუმები/ინდიკატორები, რომლითაც მოხდება შეფასება, და გაეცემა პასუხი კითხვას - თუ რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს.
2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	ვერიფიკაციის წესს დაემატოს ვერიფიკაცია განხორციელების ეტაპები: • ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა • რეგულაციის შემუშავება

		• რისკების განსაზღვრა • ვერიფიკაციის განხორციელება • შედეგის ანალიზი • უკუკავშირი - დაგეგმვა სკოლამ შეიმუშაოს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოვლინდება რისკ ფაქტორები. შემუშავებული რისკების სისტემა გაუწევს დახმარებას პროცესების მართვასა და შეფასებას. შემუშავებულ რისკებში შესაძლოა აისახოს: • გარემოებები (რისკების შედარებით დაბალი, საშუალო, მაღალი და კრიტიკული კოეფიციენტები) • ხელისშემშლელი ფაქტორები • შესაძლო რისკები • კოეფიციენტები.
--	--	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა , იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, ვადები და რესურსები რელევანტურია. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მტკიცებულებებიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას სრულად იზიარებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;** სსიპ ქალაქ თბილისის N 138 საჯარო სკოლის (შემდგომში „სკოლა“, „დაწესებულება“) მისია: „სკოლამ მოსწავლეთათვის შექმნას სწავლება/სწავლების ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული უსაფრთხო, ინკლუზიური, მეგობრული და თანასწორუფლებიანი სასწავლო გარემო, რათა ხელი შეუწყოს მათი ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებასა და კონკურენტუნარიანობას. მოსწავლეებს შეუქმნას პირობა ეფექტური თვითგანვითარებისთვის. არაფორმალური განათლების გაძლიერებით, მოსწავლეებს დაეხმაროს პროფესიულ ორიენტაციაში, განუვითაროს ციფრული კომპეტენციები და აღზარდოს ინოვატორი, განათლებული, ტოლერანტი, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე, ეროვნული ღირებულებების მატარებელი მოქალაქეები“. სკოლის ხედვაა: „2030 წლისათვის სკოლა გაიმყარებს ლიდერ პოზიციებს ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების მიმწოდებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ხმარება მოსწავლეებს პროფესიის სწორად არჩევასა და ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობაში“. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;** დაწესებულება წარმოდგენილ მისიასა და ხედვაში აქცენტს აკეთებს სკოლის როლზე უსაფრთხო, ინკლუზიური, მეგობრული და თანასწორუფლებიანი სასწავლო გარემო ფორმირებაში, მოსწავლეთა პოტენციალის გამოვლინებასა და პროფესიის სწორად შერჩევის ხელშეწყობაზე. სკოლის ფილოსოფია ითვალისწინებს და საზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცე. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;** სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მე-6 მუხლის მიხედვით, სკოლის დირექტორის მიერ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრები შერჩეულია სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, სკოლამ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმი, სადაც განხილულია სკოლის ფილოსოფიის პროექტი, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დასტურდება, რითაც ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
- 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;** სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ მე-8 მუხლით განსაზღვრულია ფილოსოფიის შემუშავების ეტაპები, სადაც გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობა დოკუმენტის პროექტის განხილვის და საბოლოო დამტკიცების პროცესში. სკოლის დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტებით (სხდომის ოქმები) დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაზიარებულ იქნა სკოლის ფილოსოფიის პროექტი, სადაც მოხდა შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაბამისობაშია.
- 5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ მე-12 მუხლით განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მექანიზმები, კერძოდ გაზიარებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: სკოლის ვებ-გვერდი, ელ. ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა, საინფორმაციო დაფა. ვიზიტის ფარგლებში სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, რითაც სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
- 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.** საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია : სსიპ ქალაქ თბილისის N138 საჯარო სკოლა .სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრების ოქმები;

სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები;

სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ვებ- გვერდი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის ღირებულების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს:

თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება. მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და პორცესში მათ ჩართულობას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი,

ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი (დამტკიცებულია 2023 წლის 07 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N9 სხდომაზე). ის შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან. კერძოდ:

სკოლის სტრატეგიული მიზნები/მიმართულებები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

გეგმაში ასახულია მიზნების მისაღწევი ამოცანები, გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი პუნქტებით: ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მისია, ხედვა, ღირებულებები, SWOT ანალიზი, მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები, მათი აღწერა და თითოეული მიზნისთვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული ყველა მიმართულება. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია გასული სასწავლო წლის შეჯამების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტში ასახულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და სხვ. სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან (2023-2024 წწ) სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია

შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა ად. რესურსების ჩამონათვალი საჭიროებს მეტ კონტრეტიკას, ასევე სკოლას მიეცა რჩევა შესრულების გაზომვად ინდიკატორებად განსაზღვროს არა მტკიცებულებების ფორმულირებით, არამედ ამოცანის, აქტივობის შესრულების ინდიკატორად. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაშია აღწერილი, ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის პრინციპითაა შექმნილი. მონიტორინგის პროცესს, რომელიც განსაზღვრავს დაგეგმილი აქტივობების შესრულება/შეუსრულებლობას, მოსდევს შეფასების პროცესი, რომელიც პროცესს ხარისხობრივად აკონტროლებს. სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, სკოლას დადგენილი აქვს მეთოდოლოგიით სქემა (ცხრილი) რითაც მოახდენს მონიტორინგის შედეგების ანალიზს. აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)** სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

- 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)** სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფას სკოლის ვებ-გვერდზე. ვინაიდან სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორი ვერ შეფასდება.
- 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)** სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;** დაწესებულებაში დადგენილია სკოლის სტრუქტურა. ამასთან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამტაბო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმიანობების მართვა, ბიბლიოთეკარი, ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი-3 და სხვ. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების“ დოკუმენტი სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული თანამშრომელთა ფუნქციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების“ დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სკოლაში დასაქმებულთა ფუნქციები, ინტერვუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ორგანოგრამა,

სამშტატო განრიგი;

სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები”

დასაქმებულთა შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და მორგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაარსს. დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და გამოყენების სფეროს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვა/შერჩევას, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. სკოლას პერსონალის მართვის

წესები და პირობები, ასევე, წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, დოკუმენტები ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/5 ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტებს შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდაჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმით. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზეც პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლაში მოიყვანა მასწავლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; დაწესებულების პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/5 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი. საკონკურსო განაცხადი თავსდება საჯარო სკოლის სივრცეში და ასევე - ელექტრონულ პლატფორმაზე <https://teacherjobs.ge/>. კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც, ასევე, გათვალისწინებულია მოწვეული პირები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატის შერჩევის თაობაზე. ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა, ასევე, ხდება კონკურსის წესით, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, ასევე, სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული

მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული და აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან პერსონალის კვალიფიკაცია, ეს უკანასკნელი სკოლას განსაზღვრული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, ხოლო სკოლის სტრუქტურული ერთეულების: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო თანამშრომლობით პრინციპს, დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს, მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ინდიკატორი შესაბამისობაშია. დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

აღამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

სკოლის შინაგანაწესი;

საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები;

საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;

თანამშრომელთა პირადი საქმეები;

შრომითი ხელშეკრულებები;

eschool ბაზის მონაცემები;

ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-12 მუხლი განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას, კერძოდ, სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მასწავლებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ცხადყოფს მოსწავლეთა პროგრესის ანალიზი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მასწავლებლის ირიბი შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე).** სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.
3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;** სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც, ძირითადად, გამოიხატება შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის ფუნქციონირება, აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბუღალტრის გადამზადების სხვადასხვა სერთიფიკატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;** ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ახალი თანამშრომლის კოლექტივთან ადაპტაციისა და სოციალიზაციის მექანიზმები. აღნიშნული წესის თანახმად, ადაპტაციის პროცესს სკოლა იწყებს სკოლაში სამუშაოს დაწყებამდე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური რესურსი ისეა მოწყობილი, რომ

იდლევა საშუალებას დასაქმებულმა წარმატებით გაიაროს ადაპტაციის ეტაპები. ზოგადად, სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების რესურსით. სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტები სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ (მაგალითად, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი), რაც აძლევს სკოლას საშუალებას, აქტიურად მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულებას აქვს პრაქტიკა წახალისოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების აქტივობები, კერძოდ სკოლის მიერ დაფინანსებულია ბიბლიოთეკარის და ბუღალტრის ტრენინგები, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

სკოლის შინაგანაწესი;

ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;

ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;** დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2024 წლის 12 აგვისტოს N1/კ-48 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, კერძოდ სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ნათლად იკითხება ციკლურობა, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედვის ეტაპებს. პროცესული მიდგომა იკვეთება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ხარისხის ჯგუფების საქმიანობის დებულებაში და სხვ. აღსანიშნავია, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს სტრუქტურული ერთეული- ხარისხის ჯგუფი, რომლის საქმიანობა მიმართულია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფას დადგენილი პროცედურების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ითქვას რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუს შედეგებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;** სკოლის ადმინისტრაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. ძირითადი პროცესი - საგანმანათლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. -ში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესში, პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, როგორცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები და შინაგანაწესი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;** სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი

წარმომადგენლების საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის განცხადებისა და საჩივრის წესის შესაბამისად. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის ყველა პერსონალის/მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია :

სკოლას აქვს შინაგანაწესი;

სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი;

სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი;

სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

დისციპლინური კომიტეტის ოქმები;

ხარისხის განვითარების ჯგუფის შესახებ ბრძანება;

ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი,

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები, რისთვისაც დაწესებულებაში არსებობს მშობელთან ურთიერთობის დებულება, საზოგადოებასთან ურთიერთობის დებულება , შინაგანაწესი, მოსწავლეთა თვითმართველობა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში

ჩართულობა. ყველა მასწავლებელი არის ჩართული მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

თანამდებობრივი ინსტრუქციები.

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში); სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არსებობს ღირეუტორის ბრძანებით განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი, ამასთან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიერ წარმოდგენილია წერილობითი კორესპონდენცია უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება დადგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ინსპექტირების ანგარიშით, რომლის თანახმად, შენობას ეძლევა დადებითი შეფასება. სკოლას მიეცა რჩევა დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას; სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც სკოლაში პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც ვიზიტის ფარგლებში არ იყო სრულად აღჭურვილი კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, მნიშვნელოვანია სკოლამ მოსწავლეთა რაოდენობის კვოტის შესაბამისად, იზრუნოს მეორე ექიმის დასაქმებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ვიზიტის დროს ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გადმოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც დადგენილი იყო რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვას სრულად განახორციელებდა 15.11.2024 წლამდე, ხოლო ექიმის დასაქმებას 08.11.2024 წლამდე. ამასთან გადმოგზავნილია მტკიცებულებები, რითაც დასტურდება, რომ სკოლამ შეასრულა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები კერძოდ სრულად აღჭურვა სამედიცინო კაბინეტი კანონმდებლობის შესაბამისად და სკოლაში დასაქმდა მეორე ექიმი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რისთვისაც სკოლაში მუშაობს 3 მანდატური, სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/6 ბრძანების შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში

უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული- მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; ფსიქოლოგიური დახმარების ფარგლებში მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, უწევს კონსულტაციას ფსიქოლოგიური მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; დაწესებულებაში სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, სკოლის ჰიგიენური მდგომარეობის დაცვაზე ზრუნავენ დასაქმებული დამლაგებლები, ხოლო პერიოდულ მონიტორინგს ახორციელებს როგორც სკოლის ექიმი, ისე ამპტერიალურ -ტექნიკური უაზურნველყოფის კოორდინატორი. ვიზუალური დათვალიერებით სკოლა მოწესრიგებულია და ვიზიტის დროს დაცული იყო ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; სკოლამ წარმოდგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, ვიდესამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგს და ადმინისტრირებას ახდენს სკოლის მანდატურები, დაწესებულებას მიეცა რჩევა იზრუნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცირის დასაქმებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლის მიერ წარმოდგენილია დირექტორის 1/კ-17 ბრძანებით (29.03.23) დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;

დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;

დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

ვიზუალური დათვალიერებით;

შენობის მდგრადობის შეფასების დოკუმენტით;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;

ეიმთან დადებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**
სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას არ ქონდა შენობის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტაცია, სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწყებულია შეთანხმების პროცედურები. შენობის ვიზუალური დათვალიერებით შენობა სამსართულიანია, საკლასო ოთახების რაოდენობა - 27 ; პირველ სართულზე განთავსებულია დირექცია-კანცელარიის კაბინეტები, სამედიცინო ოთახი, მანდატურების, რესურსოთახი და სხვ. შენობის მეორე სართულზეა კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი და სხვ. შენობის მესამე სართულზეა სპორტული დარბაზი, საკლასო ოთახები და სხვ. სკოლის ინფრასტრუქტურა და არსებული მატერიალური რესურსი შესაძლებელს ხდის სკოლამ მოსწავლეთა ზვრული რაოდენობის შესაბამისად უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;** სკოლის ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, სკოლას დარეგულირებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის პერიოდულობა და პროცედურები.
3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;** სკოლაში შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი, რომელიც თვალისაჩინო ადგილას ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის დრო, ბიბლიოთეკართან დადებულია შრომითი ხელშეკრულება,

სასკოლო და მხატვრული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, რომლის ინვენტარიზაცია გაფორმებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;** სკოლა ახალი აშენებულია და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად სრულად ქმნის ინკლუზიურ გარემოს, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
 5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.** სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები. შენობაში განთავსებულია სააქტო და სპორტული დარბაზები/სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება შიდა სივრცეში არსებული რეკრეაციული ზონების კიდევ უფრო კეთილმოწყობა.
- ინდიკატორი დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;

მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაციით;

შენობის აზომვითი ნახაზით;

ინვენტარიზაციის შედეგებით;

ბიბლიოთეკის დებულებით.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი. ყველა მასწავლებელს გადაცემული აქვს ლეპტოპები. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, მასწავლებლების სარგებლობაშია ასევე ლეპტოპები, პროექტორი და სხვა ტექნიკა საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევს ხელშეწყობისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;

საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით;

ციფრული განვითარების გეგმით.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

- სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
- სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
- სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულებაში მოქმედებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. აღნიშნული წესი აღგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან

დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისმწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მობილობისთვის საჭირო დონისძიებების განხორციელებას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისმწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GEGE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისმწარმოების წესი;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;

შემოსული და გასული კორესპონდენციებით;

ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; დაწესებულება ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის გზით, ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ. ფოსტას - tbilisi138@mes.gov.ge **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. დაწესებულების ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისაწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვა, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდი

მართვის საინფორმაციო სისტემა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;** სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.** სკოლის ბიუჯეტის განკარგვას სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;

დაფინანსების ანალიზის შედეგებით;

სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის საქმიანობაც მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. აქედან

გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო

ხელშეკრულება. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭვირვალე მექანიზმი

სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ცალკე დოკუმენტად (2023 წლის 29 მაისის N2-83 ბრძანებით) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) **სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემდეგი დამატებითი ფასიანი წრეების მომსახურება: ქართული ეკვლის . მხატვრული ტანვარჯიშის და კალათბურთის წრეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N 1/კ-50; 12.08.2024) განსაზღვრულია ვებ გვერდზე პასუხისმგებელი პირი , რომელსაც ევალება ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმება, სკოლის მონაცემების განთავსება და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება, სხვა ისეთი მოვალეობის და დირექტორის დავალების შესრულება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ვებ გვერდის გამართულად მუშაობას და საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციის დროულად განთავსებას და გავრცელებას. ვებ გვერდის ვიზუალური დათვალიერებით მასზე განთავსებულია სკოლის სერვისების და რესურსების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი; დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 02 ნოემბრის N1/კ-91 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ადაპტაციის წესი“. რომელიც მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებსა და განხორციელების პროცედურებს აღწერს. ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, ასევე მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლაში ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობლის დროულ ინფორმირებას. სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მეცადინეობები. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით - ვიზიტის დროს სკოლამ ინტერვიუთი დააზუსტა, რომ პირისპირ შეხვედრები იმართება ინდივიდუალურად). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; დაწესებულების

წარმომადგენლის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს. სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში გააცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერესებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო საქმიანობით;

სასკოლო სასწავლო გეგმით;

არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაციით;

მოსწავლეთა ადაპტაციის წესით.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;** სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმების გზით, კერძოდ მე - 9 კლასის მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია სხვადასხვა პროფესიული პროგრამები. გარდა ამისა, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი დამრიგებლების პორტფოლიოები ადასტურებს, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) **სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.**
3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.** სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, შესაბამისად ინდიკატორი არ შეფასდა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმებით,

სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.

ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;** სკოლის მიერ წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის აქტივობები, ამასთან სკოლაში სწავლობს 18 სსსმ მოსწავლე, რომელთაც ემსახურება სპეციალური მასწავლებლები და დამხმარე ინკლუზიური განათლების სპეციალისტები. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი

წარმომადგენლისგან. ისე ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისე ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ ოთხჯერ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, ამ შემთხვევაში ისე ჯგუფი იკრიბება დამატებით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისე ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ.გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისე ჯგუფის ფორმირება. ისე ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

ისე ჯგუფის ოქმები;

ინტერვიუს შედეგები;

ვიზუალური დათვალიერებით.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ გახანგრძლივებულ სწავლებას დაწყებითი კლასების მოსწავლეებს, პედაგოგთან დადებულია ხელშეკრულება, ხოლო სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურება ხორციელდება მაკონტროლებელი ორგანოების თანხმობების შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ გახანგრძლივებულ სწავლებას, სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურება ხორციელდება მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა ამ ეტაპზე არ თავაზობს მოსწავლეებს დამატებით სერვისებს(კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა).აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტი;

ინტერვიუს შედეგები.

გახანგრძლივებული სწავლების პედაგოგთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი(დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
